



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

24 სექტემბერი 2024



N 21/10000

შპს „სპორტმშენსერვის“

მის: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, №49ა

ელ. ფოსტა: sportmshenservis@gmail.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

სააგენტომ განიხილა თქვენი №8783 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ფოთში, გურიის ქუჩის მიმდებარედ, სპორტსმენტა სავარჯიშო და დასასვენებელი კომპლექსის ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობას და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- 2.4 თავში აღნიშნულია, რომ გაწმენდილი წყლის ჩაშვება მოხდება მდინარე კაპარჭაში, შემდეგ GPS კოორდინატზე: X-723878 Y-4663922, ხოლო მე-12 გვერდზე წარმოდგენილ ნახაზზე აღნიშნული კოორდინატები ასახავს სანიაღვრე ჩამდინარე წყლების მდ. კაპარჭაში ჩაშვების წერტილს. ამავ ნახაზზე, წყალჩაშვების წერტილად მითითებულია შემდეგი GPS კოორდინატები: X-723891 Y-4663977. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები;
- მონაცემთა გადამოწმებით, საპროექტო მიწის ნაკვეთი განთავსებულია მდ. კაპარჭას წყალდაცვით ზოლში და მის სიახლოვეს მდებარეობს პალიასტომის ტბა და შავი ზღვა. აღსანიშნავია, რომ „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 10 ივლისის №224 დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, წყალდაცვით ზოლში ამ დადგენილების ამოქმედებამდე არსებული საწარმოს/ინფრასტრუქტურული ობიექტის ექსპლუატაცია დაშვებულია, თუ ის მიერთებულია კანალიზაციის ცენტრალურ სისტემასთან ან აღჭურვილია შესაბამისი რეზერვუარებით ან/და სანიაღვრე წყლების საკანალიზაციო სისტემებით ან/და სხვა მოწყობილობებით, რომლებიც გამორიცხავენ წყლის ობიექტის დაბინძურებასა და დანაგვიანებას და აქვს შესაბამისი საექსპერტო დასკვნა, რომელიც გამორიცხავს წყალდიდობის/წყალმოვარდნის პოტენციური რისკების უარყოფით ზემოქმედებას აღნიშნულ ობიექტზე ან განხორციელებულია/განხორციელდება წყალდიდობის/წყალმოვარდნის რისკების საპრევენციო ღონისძიებები. შესაბამისად, დოკუმენტში

მოცემული უნდა იყოს ზემოაღნიშნულ დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ ინფორმაცია და აგრეთვე, ზედაპირული წყლის ობიექტის ჰიდროლოგიაური მახასიათებლები (გაანგარიშებები/დატბორვის საფრთხეები), ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები;

- 2.5.3 თავში მითითებულია, რომ გამწმენდიდან გამოსული წყალი არ უნდა აღემატებოდეს შემდეგ პარამეტრებს: ჟბმ – 6 მგ/ლ; საერთო აზოტი – 10 მგ/ლ; ჟქმ – 30 მგ/ლ; შეწონილი ნაწილაკები – 40 მგ/ლ; საერთო ფოსფორი – 1 მგ/ლ. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების პოტენციური დაბინძურების წყაროების არსებობის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობის ეტაპზე მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ექსკავირებული გრუნტის შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია;
- 2.5.1 თავში წარმოდგენილია „Biotop- Standart“-ის 4 სხვადასხვა მოდელის გამწმენდი ნაგებობის ტექნიკური მონაცემები, შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს გამწმენდი ნაგებობის საპროექტო მოდელი;
- დოკუმენტის 2.1 თავში აღნიშნულია, რომ „საყოფაცხოვრებო წყალი იკრიბება კომპლექსის გარე პერიმეტრზე მოწყობილ კანალიზაციის შემკრებ კამერაში, საიდანაც WQ(D) ტიპის ორი ჩაძირული ტუმბოთი გადაიქაჩება კანალიზაციის გამწმენდის სისტემაში ბიოლოგიური გამწმენდის სადგურში. ბიოლოგიური გამწმენდის სადგური განთავსებულია შენობიდან 25 მეტრში“. ამასთან, სხვა თავებში მითითებულია, რომ სპორტული კომპლექსის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლებისათვის გათვალისწინებულია ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მონტაჟი. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს გამწმენდი ნაგებობის მოწყობის საკითხი და სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/10000-21-2-202409241047>

